ამჟამად საინფორმაციო საშუალებებით მუსირებს აზრი, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად უნდა მოიწვიონ ბორა მილუტინოვიჩი, რისთვის მიხელსი ან სხვა უცხოელი მწვრთნელი, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ შორდანიანს განცხადებით, უცხოელი მთავარი მწვრთნელის წლიური ხელფასი 150 ათასი დოლარი იქნება და ა.შ.

ჩვენი სუბიექტური აზრით, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად უნდა დაგვეთვინებინა რევაზ ძოძუაშვილი მანამდე, სანამ არ დამთავრდება მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირის სრული ციკლი. მიგვიცადო დრო და საშუალება, თუ როგორ ჩაატარებდა მისი ხელმძღვანელობით ნაკრები დარჩენილ სამ შეხვედრას - ლიბერალს, რუმინეთის და უნგრეთის ნაკრებ გუნდებთან და მხოლოდ ამის შემდეგ მივვიდო საბოლოო გადაწყვეტილებას.

დასასრულდ გვინდა ერთი დელიკატური დასკვნა გავაკეთოთ: ცხოვრებამ გვიჩვენა და დამტკიცა, რომ საკვლევებელი არ არის ცნობილი, ვირტუოზი ფეხბურთელი უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელი გახდეს, რომ ფეხბურთელის სახელი და ავტორიტეტი არ იძლევა გარანტიას, რომ ის კარგი მწვრთნელი, თავისი საქმის დიდოსტატი და დიდაქტიკოსი იყოს. თავის მხრივ, უმაღლესი კატეგორიის მწვრთნელი, იგივე საუცხოო პედაგოგი უნდა გამოირჩეოდეს თანამედროვე და პროგრესული ფეხბურთის ტექნიკის და ტაქტიკის, ახალი მეთოდების, თეორიის და პრაქტიკის დროს ცოდნით, უნდა იყოს მკაცრი და მომსახურე, ამასთან, ყველა ფეხბურთელის მიმართ ერთნაირად აღამიანური და კაცობიური, ცალკეულ ფეხბურთელთა მიმართ ინდივიდუალურად მიმდგომი და, რაც მთავარია, მწვრთნელი უნდა იყოს კარგი სპეციალისტი - სელექციონერი, რომ მან ჭაბუკთა და ახალგაზრდა ფეხბურთელთა მასაში მოძებნოს ტალანტები და მიიყვანოს საბოლოო კონდიციამდე, რომ მომავალში ისინი ფეხბურთის ვარსკვლავებად ჩამოყალიბდნენ.

ბურჯან ჩხიკვაძე

## საზღვარგარეთის ფანბურთის ამბავი

**მწვრთნელის თაჰისაგანი „როკი“**  
როსტოვის „როსტელმაშის“ ყოფილი მწვრთნელი სერგეი ანდრეევი ნოვოროსიისკის „ჩერნომორციის“ ხელმძღვანელად დაინიშნა.  
საინტერესოა, რომ ნოვოროსიისკის „ჩერნომორციის“ ყოფილი მწვრთნელი ანატოლი ბაიდაჩი ახლა სწორედ „როსტელმაშს“ უდგას სათავეში.

როსტომომ აქამდე იგი ცნობილი სნაიპერის მარტინ პალერმის ჩრდილში იყო, რომლის რეკორდი 19 მატჩში 20 გოლი გახლავთ. ახლა, როცა პალერმო ესპანეთში გამოდის, „სან ლორენსოს“ თავდამსხმელმა, რომელსაც ადრე 11 გოლზე მეტი არ გაუტანია, ახლა 15 გაიტანა და ჩემპიონატის №1 სნაიპერი გახდა.

**„სეს“-ს უფასო თასზე დაუშვანე**  
„პარი სენ-ჯერმენი“ ახლა ინტერტოტოს თასზე მონაწილეობს, მაგრამ უკვე ცნობილი გახდა, რომ გამარჯვებული შორის მოხვედრის შემთხვევაშიც კი უფასო თასზე არ დაუშვებენ.

რატომ? იმიტომ, რომ უფასო თასის დებულებით არ შეიძლება ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდეს ორი ან მეტი გუნდი, რომელთაც ერთი მფლობელი ჰქვას.  
საქმე ის არის, რომ უფასო თასზე წელს თამაშობს ენევის „სერვეტი“ იმ ტელეკომპანიის საკუთრება, რომელსაც პარიზის კლუბის აქციების საკონტროლო პაკეტი აქვს.

**სამაგალიტო „რივერ პლეიტის“**  
ორი ფეხბურთელი თამაშობდა.  
19 წლის ვუნდერკინდი ხავიერ სავილა ერთნაირი წარმატებით გამოდის როგორც წინა ხაზზე, ისე უკან დახეულიც. ახლა მისი გადაბარება ბევრ ევროპულ კლუბს სურს.  
რაც შეეხება „ჩოჩისა“ წოდებულ არიელ ორტეგას, იგი შტრევის ჩინებული ორგანიზატორი იყო და გოლბიციც გაჰქონდა (8 გოლი 16 თამაშში).  
ხეზონის ბოლოს იგი სერიოზულად დაშავდა, მაგრამ ამის მიუხედავად „რივერ პლეიტს“, რომელსაც გულშემატკვრები „მილიონაროსსაც“ უწოდებენ, დიდი ხარკებლობა მოუტანა.

**აქამდე რომ პალერმოს ჩრდილში იყო**  
არგენტინის ჩემპიონატში პირველად მიიქცია საყოველთაო ურდულეობა 23 წლის თავდამსხმელმა ბერნარ-

**მხოლოდ სამი ახალი**  
მხოლოდ დარჩენილ სამ მატჩში ახლებიანების, სლოვაკებისა და თურქების წინააღმდეგ უხელმძღვანელებს მხოლოდგან ნაკრებს 41 წლის ალექსანდრ სპირიდონი, რომელმაც მთავარი მწვრ-

თელი ალექსანდრ მაციურა შეცვალა.  
როგორც კი მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირი დათავრდება, მხოლოდგან ნაკრებს რომელიმე უცხოელი სპეციალისტი ჩაუდგება სათავეში. ერთერთი პრეტენდენტია შვედი რენე ოლმკვისტი.

**პრეზენტინის ჩემპიონატის ორი რჩეული**  
მიმომხილველთა აზრით არგენტინის ამას წინათ დამთავრებული ჩემპიონატში

„ლომები“ „ბერმუსას“ დაეძვრა, მამრამ



ტურნირში გამარჯვებული გუნდი „ბერმუსა“



ტურნირის მორეპრეზენტატიული 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდი „ლომები“

სხვადასხვა ასაკის ნორჩ ფეხბურთელები ტურნირები თბილისში სისტემატურად ტარდება, რაც სტიმულს აძლევს როგორც მოზარდებს, ისე მათ აღმზრდელებს. რაც მთავარია, ტურნირები დედა-

ქალაქის სხვადასხვა უბანში იმართება და ხელს უწყობს ბავშვთა შორის ფეხბურთის პროპაგანდას. ამ დღეებში ვარკეთილის სპორტკომპლექს „ედუკაციის“ საფეხბურთო მოედანზე ჩატარდა 1987

წელს დაბადებულთა შეჯიბრება, რომელშიაც თბილისის 12 და მუხრანის ერთი გუნდი მონაწილეობდა. თანატოლთა შეხვედრებში აშკარად გამოირჩეოდა გუნდი „ბერმუსა“ (პრეზიდენტი და მწვრთნელი ტ. ბო-

ლაშვილი), რომელმაც აღმავლობით იარა ფინალისკენ, აქ კი 6-0 დაამარცხა 35-ე სკოლელი თანატოლების გუნდი „ლომები“. მესამე ადგილი წილად ხვდა მუხიანელებს, მეოთხე - მუხრანელებს. ტურნირში თავი

გამოიჩინეს ჭაბუკმა მოთამაშებმა გიორგი გულორდავამ, ივანე შვიდიტაშვილმა, გურამ მერაბიშვილმა (სამივე - „ბერმუსა“) და აბესალომ ჭანჭალაშვილმა (35-ე სკოლა).  
რომანტ ბაბოიანი ფოტოები

ფეხბურთის რეგიონები «პრაზიდიანების თასზე»

სამეგრელოს რეგიონის ფეხბურთის ფედერაციამ „პრეზიდენტის თასზე“ ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთში მასობრივი შეჯიბრებების ჩატარების დადგენილების პრაქტიკული რეალიზება დაიწყო. მინიფეხბურთში „პრეზიდენტის თასზე“ 2001

წლის რეგიონალურ პირველობაში მონაწილეობდა ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ხობის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კლასებს შორის გამარჯვებული გუნდები. პირველ ეტაპზე სულ 73 გუნდი გამოდიოდა.

რეგიონალურ პირველობაზე მეოთხედფინალში ჯვარელმა მოუგეს ხობელებს 6-1, მარტვილებმა სენაკელებს 4-3; ჩხოროწყუ - ფოთის „ლოკომოტივის“ მატჩში დიდი ანგარიშით 11-0 გაიმარჯვეს ჩხოროწყულებმა, აბაშის რაიონი (ძველი აბაშა)

- ზუგდიდი 2-8. ნახევარფინალები: ჯვარი - მარტვილი 3-7 (პენალტებით), ჩხოროწყუ - ზუგდიდი 4-1 (პენალტებით). ფინალი: მარტვილი - ჩხოროწყუ 2-5 (პენალტებით). ამრიგად, ჩხოროწყუს რაიონის გუნდი სამეგრელოს რეგიონის სპორ-

ტულ ლირსებას დაიცავს საქართველოს პირველობის ფინალურ ეტაპზე, რომელიც წლეულს ოქტომბერში თბილისში გაიმართება.  
გელა ნაჭყვიაძე, „ლელოს“ კორ. სამეგრელოს რეგიონში.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები



ფინალი: არგენტინა - ბანა

არგენტინის ნაკრები მიიწვეს მესამე გამარჯვებისაკენ ბოლო ოთხგათამაშებაში. ნახევარფინალს შეადგენდა სამხრეთ ამერიკული (არგ-

მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის



არგენტინა - ბარაგვაი

ენტინა - პარაგვაი) და აფრიკული (განა - ეგვიპტე) წყვილები.

არგენტინა - პარაგვაი 5-0  
სავიოლა (18,24), რომანოლი (41), დ'ალესანდრო (53), ერერა (70).

ამ შეხვედრაში სავიოლას „დუბლი“ პარაგვის ნაკრების განადგურების დასაწყისად იქცა. პირველი ნახევრის დასასრულს მინდვილიდან გააძევეს პარაგველი ფელიპე ჰიმენესი. არგენტინის ნაკრებმა, რომლის რიგებშიაც გამოირჩევა ტურნირის ვარსკვლავი სავიოლა, საკვებით დამსახურებულად მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება.

განა - ეგვიპტე 2-0  
ინუსა (82), ელ-ატრაფი (88 საკ.კარში).

ამრიგად, ფინალში, რომელიც კვირას ჩატარდება ბუენოს-აირსში, ერთმანეთს შეხვდებიან არგენტინისა და განას ნაკრებები.

ინტერტოტოს თასი

უფას სადისციპლინო კომიტეტმა ბულგარეთის „სპარტაკს“ დამარცხება ჩაუთვალა სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ შეხვედრაში ინტერტოტოს თასზე. შეხვედრის მე-60 წუთზე რუსინოვის ნაცვლად შემოსული სიმფეროპოლი არ იყო განაცხადში შეყვანილი, ამიტომ შეხვედრის შედეგი გაუქმდა და ბულგარელებს ჩაეთვალათ დამარცხება 0-3.



ქალთა ევროპის ჩემპიონატი



ფინალი: გერმანია - შვედეთი

გერმანიის ქალაქ ულმში 30-გარდაუსიან სიციხეში ჩატარდა ორი ნახევარფინალური შეხვედრა. ტურნირის ფავორიტებმა, გერმანელებმა სძლიეს ნორვეგიის საკმაოდ ძლიერ ნაკრებს და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. ხოლო მეორე ნახევარფინალურ წვილში ასევე დაამბულ ბრძოლაში შვედეთის ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით სძლია დანიის ნაკრებს.

გერმანია - ნორვეგია 1-0  
ნორდლუნდი (9).

შვედეთი - დანია 1-0  
სმიზვი (57).

ამრიგად, ფინალში იტალია-გერმანია და შვედეთის ნაკრებები შეხვდებიან ერთმანეთს უკვე შეხვედრის შემდეგ და გერმანელებმა გაიმარჯვეს 3-1.



შვედები ფინალში გასულას ზემოთ

# საზღვარგარეთის ფანჯურითი აზრები

## ტონს ბრაზილიელი იკლავიან

პორტუგალიის ჩემპიონატის ფინალის შედეგები



არსენ ვენგერის „ღილი ჩემოვნი“

პორტუგალიის ფეხბურთისათვის მეტად დამახასიათებელია სამი გრანდის, „ბენფიკას“, „პორტუსა“ და ლისაბონის „სპორტინგის“ მიერ ქვეყნის ჩემპიონის წოდების სრული უზურპაცია. ეს კლუბები მორიგეობით იკავებდნენ პირველ ადგილს ქვეყნის ჩემპიონატში. და, რომ იტყვიან, სხვას არავის ახლოსაც კი არ აკარებდნენ. ეს ტრადიცია მიმდინარე წლებში, თუმცა იტყვიან, მხოლოდ ერთხელ დაირღვა, როცა ჩემპიონი გახდა ლისაბონის გარეუბნის გუნდი „ბელენენსეში“, ეს კი შორეულ, 1946 წელს მოხდა.

და აი, კიდევ ერთი წლებიდან დასრულდა სიურპრიზი - ახლა ჩემპიონი გახდა ქ. პორტუს (რომელიც მნიშვნელობით და მოსახლეობის რაოდენობით მეორეა პორტუგალიაში) კლუბი „ბოავიშტა“. მანამდე მას, თუმცა პორტუგალიის პირველ დივიზიონში უკვე 42 წელია გამოდის, რაიმე განსაკუთრებული წარმატებები არა ჰქონია, იყო სულ ორი შემთხვევა (1975-76 და 1998-99 წლებში), როცა იგი მეორე ადგილზე გავიდა. არც თუ საერთაშორისო მიღწევებით გამოირჩეოდა: ჩემპიონთა ლიგაში შარშან მოხვდა და საწყის ეტაპზევე შეწყვიტა ბრძოლა, უეფას თასზე ერთხელ მივიდა მეოთხედფინალამდე, თასების მფლობელთა თასზე - ოთხჯერ მერვედფინალამდე. ეს იყო და ეს.

ახლა ეტყობა, მდგომარეობა აშკარად იცვლება. მას უკვე ოთხი წელია წვრთნის 42 წლის ეპიკე პაჩეკო, რომელიც ადრე თამაშობდა სამივე პორტუგალიური „გრანდისა“ და ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში. მისი სამწვრთნელი კარიერა 1992 წელს დაიწყო, სადმე რაიმე მიღწევა არა ჰქონია, მაგრამ, ჩანს, გამოცდილება შეიძინა და „ბოავიშტაში“ უკვე უდევო ავტორიტეტი მოიპოვა. პაჩეკოს ხელი „ბოავიშტას“ 1998 წელსვე შეეცვლა, როცა იგი უკვე აღარ ჰკავებდა პირველი დივიზიონის საპირველად გა-

წირულ გუნდს, მწვრთნელმა ყველა თვალსაზრისით მტკიცე კოლექტივი შექმნა, რომელიც, თუნდაც, იმავე „გრანდებისაგან“ განსხვავებით, ორგანიზებულ, მკაცრ ფეხბურთს თამაშობს. ყველა რგოლი შეთანხმებულად მოქმედებს, გუნდი დიდებულად არის მომზადებული ფიზიკურად. აქ როლი ითამაშა იმ გარემოებამაც, რომ ფიზიკური მომზადების მწვრთნელი ანტონიო ნატალი უკვე რამდენიმე წელია (თანამშრომლობს პორტუგალიის სპორტული მეცნიერების უნივერსიტეტის პროფესორ ჟოზე სუარეშთან) იყენებს უახლეს ტექნოლოგიებს და ტვირთისა და ძალების ადგილის პროცესებს. ამის გამო იყო, რომ მთელი ხანგრძლივი სეზონის განმავლობაში „ბოავიშტას“ არც ჩავარდნა ჰქონია და არც თუ ვინმე სერიოზულად დაშავებია.

„ბოავიშტამ“ სეზონი კარგად დაიწყო, მას შემდეგ კი, რაც პირველი წლის უკანასკნელ მატჩში თანაქალაქელი „პორტუს“ მიიღო და დაამარცხა. იგი ანგარიშით 1-0, პირველ ადგილზე გადავიდა და ლიდერობა ხელიდან აღარ გაუშვია. სხვათა შორის, „პორტუს“ გარდა „ბოავიშტას“ წელს ჩემპიონობისათვის ბრძოლაში მეტოქე არცა ჰყოლია. მან 34 მატჩში 23 მოიგო, 8 ფრედ დაასრულა, 3 წააგო, ბურთების ჩინებული შეფარდებით 63-22 77 ქულა მოაგროვა და ერთი ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე „გაუსულ“ „პორტუსს“. ისიც ვთქვათ, რომ განსხვავება მათ შორის უფრო სოლიდური იქნებოდა, „ბოავიშტა“ რომ არ მოდუნებულიყო და ბოლო ტურში „პორტუსთან“ (მას შემდეგ, რაც უკვე გაჩემპიონდა) არ წაეგო ანგარიშით 0-4.

რა შეიძლება ითქვას ამ შემთხვევაში „გრანდებზე“? მეორე ადგილზე გასულმა „პორტუსმა“ (24 მოგება, 4 ფრედ, 3 წაგება, 73-27, 76 ქულა) ძალიან ბევრი დაკარგა, როცა ბრწყინვალე ბრაზილიელი თავდამსხმელი მარსელო გარდელი „გალათასარაის“ დაუთმო.

ლისაბონის „სპორტინგმა“ (მესამე ადგილი, 62 ქულით) ვერ გაუძლო ჩემპიონატისა და ჩემპიონთა ლიგის დაძაბულობას, ხოლო განთქმულ „ბენფიკაში“, რომელმაც ჩემპიონობა უკანასკნელად 7 წლის წინათ მოიპოვა, სრული კაოსი იყო: იცვლებოდნენ მწვრთნელები. სკანდალი მოჰყვა პრეზიდენტის არჩევას. საბოლოოდ „ბენფიკამ“ მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა, სრულიად შეუფერებელ ასეთი სახელის მქონე გუნდისთვის.

ისევე ჩემპიონ „ბოავიშტას“ თუ დავუბრუნებთ, შეიძლება ითქვას, რომ ვინმე პაჩეკოს, ფაქტობრივად, ორი, დაახლოებით თანაბარი შემადგენლობა ჰყავდა. მანამდე ნაკლებად ცნობილმა, 25 წლის მეკარე რიკარდუ მირიანო-დი შემადგენლობა დაატოვებინა კამერუნელი ვილიამს. დაცვაში ძირითადი ოთხეულია პორტუგალიის ნაკრების წევრი ლიტუში, რუი ოსკარი, შორეული სილვა და ბრაზილიელი ერვიანი. არანაკლებ ძლიერია მცველთა კიდევ ერთი ოთხეული: პედრუ ემანუელ, მარკალი (ბრაზილია), ფრაშაუტი და კევალ (საფრანგეთი).

შუა ხაზზე ლიდერად ითვლება ბოლივიელი ერვინ სან ჩესი (8 გოლის ავტორი), რომელსაც „საჯარიმო დარტემენტის“ მეფეს“ უწოდებენ. აქ თამაშობს პეტი ანუ არმანდუ ტეიშეირა, რუი ბენტუ, მარტინიო, პედრუ სანტუსი.

პაჩეკო ძალიან ხშირად ახდენდა ცვლილებებს თავდასხმაში, სადაც ხუთივე ბრაზილიელია: დემეტრიოს მონდანინი, ჟოზე როჟერიო, ელპიდუ სილვა, ველინტონი და დუდა. მათგან მიმომხილველები გამოყოფენ 10 გოლის გამტან დუდას, რომელიც ყველა მატჩში მონაწილეობდა (ერთის გარდა), მაგრამ მეორე ტაიმში, როგორც წესი, რომელიმე პარტნიორს უთმობდა ადგილს.

პეტი, ფრეშაუტი და რუი ბენტუ. საინტერესოა, რომ „ბოავიშტა“ თამაშობდა თავის პატარა „მეტადიუ დე ბენსაზე“, რომელიც სულ 11 ათასი მაყურებელი იტევს (დაარსდა 1972 წ.), ახლა მისი რეკონსტრუქცია ტარდება და ტევადობა დაახლოებით სამჯერ გაიზარდება, ისე რომ, 2004 წლისთვის ევროპის ჩემპიონატის მატჩები ჩატარდეს.

ჩემპიონატის №1 სნაიპერი 22 გატანილი გოლით გახდა ბრაზილიელი თავდამსხმელი ჟეზუს პენა („პორტუს“). 19 გოლით მეორე ადგილზეა პოლანდიელი პიერ ვან პოთიდონი („ბენფიკა“). 17-17 გოლი გაიტანეს ჟოაო ტომაშა („ბენფიკა“) და რაფაელმა („პასუსუ ფერირა“).

გივი თორელი



ამოროზო - „ბორუსიაში“

გერმანიის საფეხბურთო კლუბმა დორტმუნდის „ბორუსიამ“ ხელი მოახერხა კონტრაქტის ბრაზილიელ თავდამსხმელ მარსიო ამოროზოსთან, რომელიც მანამდე გამოდიოდა იტალიის „პარმაში“. ამოროზო ნახევარმცველ ევანისონში გაიცვალა.

## სოლ კამპალმა „არსენალი“ ამჯობინა

ცხადი იყო, რომ გამოჩენილი მცველი სულზეირ ჯერემი კემპელი, რომელსაც გულშემატკივრები, უბრალოდ, სოლს უწოდებენ, ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურში“ აღარ დარჩებოდა. ინგლისის ნაკრების დაცვის ბურჯი უკვე რამდენიმე წელია პრემიერ-ლიგის ამ საშუალო კლუბის დატოვებას აპირებდა, „მონოვინელი“ კი ბევრი ჰყავდა, როგორც ინგლისიდან („არსენალი“, „ლივერპული“), ისე საზღვარგარეთიდან (მადრიდის „რეალი“, „ბარსელონა“, მილანის „ინტერო“). საზღვარგარეთულ კლუბებში გადასვლაზე სოლ კემპელმა უარი განაცხადა, რადგან იგი რასიზმის გამოვლინებას უფრთხობს.

და აი ოთხშაბათს სოლ კემპელმა საბოლოო არჩევანი გააკეთა - მან გააფორმა ხელშეკრულება ლონდონის „არსენალთან“.

## «მილანი» ყიდულს და ყიდულს

„მილანი“ ზედიზედ აფორმებს ხელშეკრულებას განთქმულ ოსტატებთან. ტურინის „იუვენტუსიდან“ გადასულ ფილიპო ინსაგის ოთხშაბათს პორტუგალიელი რუი კოშტაც მიჰყვა. რაც შეეხება ანდრეი შეჩერკოს, მასთან „მილანმა“ ხელშეკრულება 2006 წლამდე გააგრძელა.

## ალექს ფრეიუსონს არ უყვარს „იოსელი და გუზუნა ფანჯურითაღი“

ალექს ფრეიუსონი, ისევე, როგორც პრემიერ-ლიგის ყველა დანარჩენი მწვრთნელი, ცდილობს ახალი სეზონის წინ შემადგენლობის გადართობას. ჯერჯერობით ერთადერთი რეალური შენაძენია პოლანდიელი თავდამსხმელი რუდვან ნისტელერი. არაფერი გამოვიდა „პარმას“ მცველ ლილიან ტიურამის შეძენის ცდიდან, რომელიც საბოლოო ანგარიშით ტურინის „იუვენტუსში“ აღმოჩნდა. მაშინ ფრეიუსონმა მოინდომა მარცხენა მცველ ლიზარაზუს ყიდვა. არც იგი დათმო მიუნხენის „ბაიერნი“. სასურველი იყო განთქმული სნაიპერის პენრიკ ლარსონის ყიდვა, მიმდინარეობდა წინასწარი მოლაპარაკებები, მაგრამ „სელტიკმა“ შედგის ორჯერ გაუზარდა ხელფასი და საკითხიც გადაწყვიტა. არც დიეგო სიმეონესთან მოგვარდა რამე.

ამასობაში „ტოტენჰემს“ დაუბრუნდა ვეტერანი ტედი შერინგემი. გუნდიდან მიდის ლოთი და სკანდალსტი ენდი გორამი. კარიერას ამთავრებს მეორე მეკარე რაიმონ ვან დერ გუაფი, თუმცა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელობა ცდილობს როგორმე ერთი წლით მაინც დაიტოვოს პოლანდიელი. რახან ფრეიუსონს არ უყვარს „იოსელი და გუზუნა“ ფეხბურთელები, გუნდს ტოვებენ რონი იონსონი, დენის ირვინი და დევიდ მერი. „ტრანსფერ-ლისტი“ შეიტანეს კვენტინ ფორჩინი, რომელსაც არ ეღივსა ძირითად შემადგენლობაში თამაში - ვერ გაუწია სათანადო კონკურენცია ბრაიან გაგუს. მიმომხილველები არ გამოცხადებენ გუნდიდან ტრინიდადელ დუაიტ იორკის წასვლას, რომელსაც ცუდი ურთიერთობა აქვს ფრეიუსონთან. მათი უთანხმოების საფუძველი იორკის ძალიან ხშირი წასვლა თავის ეროვნულ ნაკრებში სათანადოა.



ამასობაში „ტოტენჰემს“ დაუბრუნდა

## უკრაინის ფანჯურითი ლაურეატები

ლონდონის „შაბტორისა“ და უკრაინის ნაკრების ნახევარმცველი გენადი ზუბოვი დასახელეს უკრაინის საუკეთესო ფეხბურთელად. საუკეთესო მწვრთნელად კი - „ცესკა“ ყოფილი მწვრთნელი მიხეილ ფომინო, რომელიც ამჟამად ხარკოვის „მეტალისტი“ მთავარი მწვრთნელია.

## ბალი - «ვორსკლასი»

კიევის „დინამოსა“ და სერკუს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ანდრეი ბალი დაინიშნა პოლტავას „ვორსკლასს“ მთავარ მწვრთნელად, მან ამ თანამდებობაზე შეცვალა სერგეი მოროზოვი. მანამდე ბალი მუშაობდა ისრაელში.

## თქვენთვის, პრეზიუმ

1. ვინ იყო საქართველოს ნაკრების კაპიტანი 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ, რომელიც ჩატარდა ნიურნბერგში და დამთავრდა ანგარიშით 4-1.
    - ა) მ. შელია
    - ბ) გ. ნემსაძე
    - გ) თ. ქვიციანი
  2. რომელი წლიდან არის საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ფოფას და უფას წევრი:
    - ა) 1990
    - ბ) 1991
    - გ) 1992
  3. ვინ გახდა XX საუკუნის საუკეთესო მეკარე აფრიკიდან:
    - ა) ტომას ნ'კონო
    - ბ) ჟაკ სონგო
    - გ) ჟოზეფ-ანტუან ბელი
  4. რა იყო 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა:
    - ა) ხუანიტო
    - ბ) გუაჩიტო
    - გ) ვილი
  5. ვინ იყო 1987 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი:
    - ა) რუდ გულტი
    - ბ) ვან ბასტენი
    - გ) ლოთარ მათეუსი.
- წინა ნომრის პასუხები:  
1 - ა, 2 - ბ, 3 - გ, 4 - გ, 5 - ა.



# კარატე-დო



საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №8 (16) ივლისი, 2001 წელი

„ამჟვენად ცხოვრებით ადამიანს სულიერი დახვეწის საშუალება ეძლევა, ხოლო როგორ გამოიყენებს ამ საშუალებას, ეს უკვე თავად მასზეა დამოკიდებული“ — შეუძლებელია არ დაეთანხმო ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმრის ბატონი კახა ბასილიას ამ მოსაზრებას, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით და მართლაც „უზარმაზარი შინაგანი ძალები საჭირო, რათა ჭეშმარიტ გზას არ ასცდეს, ყოველთვის პირნათელი იყო უფლისა და საკუთარი თავის წინაშე“.

კახა ბასილია პროფესიით ეკონომისტი (დამთავრებული აქვს ქ. ლგოვის ხე-ტყის ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტი), თუმცა დღეს მის საქმიანობას თუ მოწოდებას კარატე წარმოადგენს, არის მსოფლიო სამხედრო ორთაბრძოლების აკადემიის აკადემიკოსი, მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს (კარატე-დო „შიველი ხელის გზას“ ნიშნავს) ფედერაციის დირექტორატის და ტექნიკური კომიტეტის (შინაგანი) წევრი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მთავარი ინსტრუქტორი შოტოკან კარატე-დოში (მისი მეთვალყურეობის ქვეშაა 17 ქვეყანა), საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველოს ეროვნული სტუდენტური კარატე-დოს ფედერაციის და საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის კონსულტანტი... რაც შეეხება მის სპორტულ მიღწევებს, ვფიქრობთ, იმის აღნიშვნაც კი საკმარისი იქნება, რომ არის იაპონიის აბსოლუტური ჩემპიონი კატაში (ერთადერთი არაიაპონელია, რომელიც ამ ტიტულს დაეუფლა), მე-6 დანის მფლობელი, აღარაფერს ვამბობთ უკრაინის, ბელორუსიის, რუსეთის, ყაზახეთის ჩემპიონობაზე, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩემპიონობაზე, მსოფლიოსა და ევროპის მრავალჯერ პრიზიორობაზე... წლების განმავლობაში იყო ჯერ უკრაინის სამხედრო ორთაბრძოლების ორგანიზაციის პრეზიდენტი, შემდეგ კი რუსეთის ტრადიციული კარატე ფედერაციის პრეზიდენტი. პრაქტიკულად მისი თაოსნობითა და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ბელორუსიის, მოლდოვის, ყაზახეთის, უზბეკეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის შოტოკან კარატე-დოს ფედერაციები, რომლებიც მისივე თანადგომით გაწევრიანდნენ მსოფლიოს კარატე-დოს ფედერაციაში... კახა ბასილია საქართველოში 1996 წელს ბრუნდება და მიუხედავად სპორტის დეპარტამენტის წინააღმდეგობისა, მეგობრების დახმარებით ქმნის საქართველოს კარატე-დოს ფედერაციას, რომლის საქმიანობის შესახებაც ცოტა უფრო ქვემოთ, თავად ბატონი კახასთან საუბრიდან შევსებებით, ჩვენ კი ჩვენი რესპონდენტის პორტრეტს კიდევ რამდენიმე ფრაზით შევავსებთ:

დაიბადა 1964 წლის 22 ივლისს. ზოლიაქოს ნიშნის მიხედვით ლომია, მბრძანებლური ხასიათისა და მდიდარი ბუნების მქონე პიროვნება. მისი ძირითადი თვისება სიკეთეა, მუდამ სრულყოფისაკენ ისწრაფვის და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ირგვლივმყოფებს ცხოვრება გაუადვილოს... აქვს კარგი ორგანიზატორული ნიჭი და დაწვებული საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი... მიზანდასახული, ენერგიული, დიდსულოვანი და საოცრად გულდასაპირი პიროვნებაა, თუმცა, მისი გაცნობის შემდეგ გრჩება შთაბეჭდილება, რომ საკუთარ თავში რაღაც უმეპაკევებელს იტყვს (ყოველ შემთხვევაში, პირადად მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა - მხოლოდ მისთვის ნაცნობს და გასაგებს... უყვარს მეგობრებთან, მუსიკა, ცეკვა... ვერ იტანს უსამართლობას, დღლატს... ცხოვრება მისთვის სცენაა - „სპექტაკლი, სადაც სხვადასხვა ნიღაბი უნდა ატარო, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ საზოგადოებაში ვერ იარსებებ - არ მივადებენ, რადგან“... თუმცა, ყველაფერ ამაზე და სხვა საინტერესო საკითხებზე თავად კახა უკეთესად გვიამბობს.

- ადამიანის ფიზიკური არსებობა, მისი კოფორტულობა, თუ როგორ უნდა იცხოვროს - კარგად თუ ცუდად, მისივე შინაგანი ნების განისაზღვრება. ყოველ მათგანში ზის კარგი და ცუდიც - ბოროტი და კეთილი ძალები, მთავარია, კეთილი, ჭეშმარიტი ძალების ამოძრავებზე ვიზრუნოთ, თორემ ბოროტი, ეშმაკისებელი ძალები ვალდებულნი არაა სჭირდებოდეს... ასე არ არის?

- გეთანხმებით, მაგრამ სად შეიძლება გაადიდოს ზღვარი ამ ძალებს შორის?

- ასეთი ზღვარი არ არსებობს... როგორაა, იცით? - ყველა კარგი არის ცუდის რაღაც ნაწილი და პირიქით, ყველა ცუდი არის რაღაც ნაწილი კარგის...

- ალბათ, ისიც განსათვალისწინებელია ვისთვისაა რა არის კარგი და ვისთვის ცუდი...

- ჭეშმარიტება ერთია - ღმერთი!... თუ ადამიანი ღმერთი ზის, მას უკვე აღარ სჭირდება იმაზე მჭიდროდ შეხედულება, რა არის კარგი და რა ცუდი. სამწუხაროდ, ტექნიკურმა რევოლუციამ ადამიანი რობოტად აქცია, საკუთარ თავთან მარტო დარჩენას გადააწყობა. იმდენად შეუძლებელია იგი საკუთარ თავთან მარტო დარჩენას, რომ, როგორც კი ამის საშუალება მიეცემა, დისკომფორტს განიცდის და ცდილობს რაღაც ისეთი გააკეთოს, რაც მას ამ მდგომარეობიდან გამოიყვანს. ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზაზე პირველი, რაც ადამიანმა უნდა გააკეთოს, ისაა, რომ საკუთარ თავზე მუშაობა ისწავლოს. თუ შენ ჭეშმარიტ გზაზე დგახარ, მაშინ არასოდეს მოგატყუებს შენი შინაგანი ხმა, თუ არა და...

- თქვენ რას გეუბნებით ხოლმე ყველაზე ხშირად თქვენი შინაგანი ხმა?

- როცა 100%-ით დარწმუნებული ვარ ჩემს ქმედებაში, როგორც წესი, ეს ხმა ყოველთვის მართლდება. ის, რაც ღმერთი გულისკენა მიმავალია, შეუძლებელია არ შესრულდეს...

- ღმერთის არსებობას რამდენად გრძნობთ თქვენს გვერდით?

- გვერდით არ გრძნობ - ადამიანმა მისი არსებობა საკუთარ თავში უნდა იგრძნოს - ღმერთი უნდა არსებობდეს შენში და შენ ღმერთში. მე ღმერთს ჩემში მაშინ ვგრძნობ, როცა 100% ჭეშმარიტი ვარ და არანაირი ამბიციები არ მამოძრავებს...

- თუ გკონიათ შემთხვევა, როცა გი-

## „ამჟვენად მოვლინებით ადამიანს სულიერად დახვეწის საშუალება ეძლევა“



ფიქრით, რომ ვთქვით, თქვენ „ამის“ ღირსი არ იყავით და „ეს“ მხოლოდ ღმერთის თანადგომაა თქვენდამი?

- ასეთი შემთხვევა მქონია, მაგრამ ასე არ მიფიქრია...

- აბა როგორ?

- მაშინ მიფიქრია, რომ ამ შემთხვევაში მე ვარ უფლის იარაღი და ვაკეთებ იმას, რისი განხორციელება მას სურს. ჩემი დამსახურება მხოლოდ ისაა, რომ მე უბრალოდ მზად ვიყავი ამისათვის...

- საერთოდ რა პრინციპებით გიწევთ ცხოვრება?

- უპირველეს ყოვლისა, ვცდილობ მართალი ვიყო საკუთარი თავისა და უფლის წინაშე...

- და როგორ ფიქრობთ, როდის იწყება ადამიანში სამართლიანობა - უსამართლობის აღქმა?

- ბავშვიდან... თუმცა, არა, ბავშვიობიდანაც არ იწყება. ეს დაბადებამდე ხდება. რადგან მასზე უკვე მიმდინარეობს ინფორმაციული ზემოქმედება, აღარაფერს ვამბობ გენეტიკისა და ზეჩაღვლის გავლენაზე... ადამიანი რომ დაიბადოს რააც მოლექსდება, ატომებმა ერთად უნდა მოეყაროს თავი და იმ მოლექსლებში შერწყმება უნდა მოხდეს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება ერთმანეთს. შესაძლოა ეს პროცესი საუკუნეების მანძილზე კი გაგრძელდეს...

- მით უმეტეს, საინტერესოა, რა შეიძლება იყოს მისი მოვლენების არსი ამჟვენად...

- გოეთე ამბობდა: „ცხოვრების მიზანი თვითონ ცხოვრებაა“-ო... ამჟვენად მოვლინებით ადამიანს სულიერად დახვეწის საშუალება ეძლევა. ესაა გზა სრულყოფისაკენ და როგორ გავიგოს ამ გზას, ეს უკვე მასზე, მის საქმიანობაზე დამოკიდებულია.

- რადგან საქმიანობა ვახსენეთ, ვფიქრობ, კარგი იქნება თუ გონკრეტულად თქვენს საქმიანობაზე ვისაუბრებთ... საინტერესოა, რამ განაპირობებდა თქვენს კარატეში დაინტერესებას?

- ანუ დაფურცლდით ბავშვობას...

- უამრავ წრეზე დავდიოდი, მაგრამ ყველაფერი ისე აეწყო, რომ მე ეს გზა ავირჩიე, ალბათ, განვების ნება იყო ასეთი. ახლა რომ ვუფიქრდები, ვერც კი წარმომიდგენია, სადმე სხვაგან ვყოფილიყავი. შემთხვევით ხელოვნურადაც აგხსნა ეს ყვე-

ლაფერი. რომ მივედი სექციაში, მომეწონა, დავიწყე ვარჯიში და ასე შემდეგ...

- ცხადია, არც ეს მომენტი გამოირიცხება...

- რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება, მაგრამ, ხომ გეუბნებით, მე უამრავ წრეზე დავდიოდი, არჩევანი კი, ალბათ, ისევ და ისევ უფლის ნებით, კარატეზე შეჩერდა... ჩვენი წინაპრებიდან მოყოლებული, როგორც კი ბიჭი დაიბადებოდა, იმ დღიდანვე იწყებოდა მისი, როგორც მეორის ალბრად. ქვეცნობიერში დღემდე ზის ეს ინფორმაცია. ექსტრემალურ სიტუაციაში მამაკაცმა რეფლექსურად შეიძლება ისეთი თვისებები გამოამჟღავნოს. ცხოვრებაში რომ არ გამოუვლენია, საზოგადოება, ის გაერემო, რომელშიც ადამიანს ცხოვრება უხდება, გარკვეულ შემთხვევებში ახდენს მასზე, განსაკუთრებით ბავშვობის პერიოდში. ჩემს ბავშვობაში ძალიან დიდი მიდრეკილება იგრძნობოდა ფიზიკური სიძლიერისაკენ (დღეს, სამწუხაროდ, ეს ასე აღარ არის). როგორც ჩანს, ჩემშიც ვაიღვებოდა მეომრის ინსტინქტებმა და ისე შევედი ამ როლში, რომ დღემდე ვეღარ გამოვედი...

- ისე, როგორც ვიცით, დიდი ხანი არ არის რაც საქართველოში სპორტის ეს სახეობა შემოვიდა...

- კი, მაგრამ, მართალი ვიხსენებ, კარატეს, როგორც სპორტის სახეობას, მე ახლა ნაკლებად განვიხილავ. როგორც სპორტი, კარატე სულ რაღაც 5%-ია... ეს არის უნიკალური აღმზრდელი მეთოდი, რომელიც ფიზიკურადაც ზრდის ბავშვს. სულიერადაც და მისი მენტალიტეტის ჩამოყალიბებაზეც ახდენს ზეგავლენას... ნებისმიერ ადამიანს, მით უმეტეს ახალგაზრდა კაცს, ყოველთვის აწვადებს რაღაც ამბიციას, ცხადია, ეს ამბიციები მეც მაწულებდა. გარდა ამისა, რომ მი-



ნდოდა ძლიერი ვყოფილიყავი, როგორც კი გავიცნობდი, რომ მე ვარ კახა ბასილია და ეს მხოლოდ მე და ჩემს გარშემო მყოფმა ხალხმა თუ იცის, გამიჩინა საკუთარი თავის დამკვიდრების სურვილი. ჩემს ცხოვრებაში დავიწყე მეორე ეტაპი და ეს იყო დღემდე 8-10 საათი ვარჯიში, გამუდმებით იმაზე ფიქრი, რომ მე ეს უნდა გავაკეთო და ა.შ...

- როგორც ვიცით, გარკვეული დროის განმავლობაში კარატე აკრძალული

იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში... თვით-დაამკვიდრების პროცესი იმ პერიოდს ხომ არ დაემთხვა?

- კარატე 1983 წელს აიკრძალა, თვით-დაამკვიდრება მე-80 -იან წლებში დავიწყე და პრაქტიკულად მოვაგწარი მაქსიმუმის გავრცელება, რაც კი სამ წელიწადში შემიძლო გამეკეთებინა.

- მაინც რა შეგავლენა მოახდინა ამ აკრძალვამ?

- ეს აკრძალვა დაწვებულიყო საკუთარი თავით აღფრთოვანება და სიყვარული - არსებობს ასეთი დაავადება... მაგრამ როცა ხვდები, რომ გამოხატვის საშუალება აღარ გაქვს, ჩვეულებრივ ცხოვრებას უბრუნდები... შეიძლება ითქვას, რომ აკრძალვამ დადებითი როლი ითამაშა.

- თქვენს მასწავლებლად ვის თვლით?

- ვერავის ვერ ჩავთვლი, ჩინელები ამბობენ: მე არა მყავს არც მტერი, არც მეგობარი, ყველა ჩემი მასწავლებელია. მასწავლებლები მყავდა, მაგრამ ვინმეზე კონკრეტულად ვერავფერს ვიტყვი, რადგან ვცდილობდი ყველასგან რაღაც მესწავლა და ვსწავლობდი კიდევ.

- მაინც, ვინ მოახდინა განსაკუთრებული შეგავლენა თქვენზე, როგორც პროფესიონალის ჩამოყალიბებაზე?

- ყველა ეტაპზე სხვადასხვა პიროვნებამ, ბავშვობისას, იყო ერთი ძლიერი ბიჭი, ქურთი ხაჩიკა. იმას რომ ვუყურებდი როგორ ვარჯიშობდა, სურვილი გამიჩინდა მეც ასეთი ძლიერი ვყოფილიყავი, მეორე ეტაპზე ჭიდაობის მასწავლებელი მყავდა და ის მეჩვენებდა სასწაულად. მესამე ეტაპზე კიდევ ვიღაც იყო და რა თქმა უნდა, ჩემი იაპონელი მასწავლებელი კასუი, რომელიც თბილისში უკვე არაერთხელ ჩამოვიდა. იგი უნივერსალური პიროვნებაა და მე დღეს ბევრ რამეს მძლევეს მათან ურთიერთობა... შერლოკ ჰოლმსი ამბობდა: ჩვეულებრივი ადამიანები, როგორც წესი, უყურებენ და ვერ ხედავენ, ოსტატი კი უყურებს და ხედავს, ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია ეს ურთიერთობები...

- როგორც ჩანს, სათავგადასვლო ლიტერატურა გიყვარდა...

- მთელი ბავშვობა იმდენად ვიყავი კარატეით გატაცებული, რომ ფაქტობრივად, არ ვკითხულობდი, მთლიანად კარატეზე ვიყავი გადართული, მესიზმრებოდა კიდევ... მისმა აკრძალვამ გამოიწვია ის, რომ ინტენსიური კითხვა დავიწყე მაშინ ლგოვის ინსტიტუტის ვსწავლობდი. მთელი დღე ემძღო გეგმარაგებას და მე-კითხვა, სტუდენტები დამკინოდნენ კიდევ, ოცდაათნი საათი ვკითხულობდი ან გვერდი, აუმრავი ცოტათი მქონდა ამოწერილი...

- ყველაზე მეტად მაინც რომელი მოგწონდა?

- ძალიან ბევრი იყო...

- მაინც? დღემდე რომელი შემოგრჩათ?

- „არწივები ცაში აფრენილი უნდა კვდებოდნენ“... ან „ყოველ დღით და საღამოს იფიქრე სიკვდილზე“ (რომ დაუფიქრდე, ილიას ნათქვამს ჰვავს „ყოველ დღით შენს თავს კითხეო...“) ეს არ ნიშნავს იმას, რომ შენ მაინც დამაინც ხვალ უნდა მოკვდე, მაგრამ მზადყოფნა სიკვდილისათვის, სულ სხვაგვარად წარმართავს ადამიანს ცხოვრებას...

- და რა არის თქვენი აზრით სიკვდილი?

- ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლა...

### გაგრძელება მე-2 გვ.

საერთაშორისო ტურნირი „ქაროს ტბის“ თასზე	
„ვატკიცებ“	დეზულება
ქ. ფოთის კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი	ორგანიზატორები:
ბ. სულმანიძე	- საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია
	- ქ. ფოთის კარატე-დოს ფედერაცია
„შეთანხმებულია“	რაიცია
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი	- ქ. ფოთის საკრებულო
კ. ბასილია	- ქ. ფოთის სპორტ-კომიტეტი
	- ქ. ფოთის აღორძინების კავშირი
	ტურნირი ტარდება კუმიტესა და

კატაში, ვაყებდა და გოგონებს შორის. მონაწილთა ასაკი შემდეგია:	12-13 წელი
ინდივიდუალური კატა	14-15 წელი
ვაყები	16-17 წელი
გოგონები	18-21 წელი
8-13 წელი	გოგონები
14-17 წელი	8-10 წელი
18+ წელი	11-13 წელი
მიქს კატა	14-16 წელი
15 წლამდე	16-21 წელი
ინდივიდუალური კუმიტე	17-19 წელი
ვაყები	20+ წელი
7 წლამდე	გუნდური კუმიტე
8-9 წელი	ვაყები
10-11 წელი	12-13 წელი
	14-15 წელი

გოგონები	12-13 წელი
	14-15 წელი
ტურნირის ჩატარების დრო და ადგილი	
ტურნირი გაიმართება მიმდინარე წლის 7-8 ივლისს. დასაწყისი 17.00 სთ. მისამართი: ქ. ფოთი, მალთაყვის სპორტული კომპლქსი. „ქაროს ტბა“, ან 18-ბოდრელის №128 ტ. 2-56-24 სულამანიძე ბაჩყაი.	
ტურნირი ჩატარდება	
„ქაროს ტბის“ ფაბრიკაში,	
„პანტონში“.	

წინა გვერდიდან

- ე.ი. სიკვდილის შემდეგ კიდევ არის რაღაც...
- რა თქმა უნდა, სული ხომ არ კვდება?...
- ე.ი. შეიძლება ხელმეორედ მოვიდეს დედამიწაზე?
- სული უკვდავია, მაგრამ მეორეჯერ მოვა თუ არა, ეს უკვე უფლის ნებაა.
- როგორ ფიქრობთ, რა არის აუცილებელი სულითა და სხეულის სრულყოფისათვის?
- ადამიანმა, პირველ რიგში, სულიერებაზე უნდა იზრუნოს, განიწმინდოს და მეორე პლანზე გადაიტანოს მატერიალურ კეთილდღეობაზე ფიქრი...
- ბატონო კახა, მოდი, ისევ თქვენს საქმიანობას დაგუბრუნდეთ... რამდენად ახერხებთ თქვენი შესაძლებლობების რეალიზებას?
- ნებისმიერმა ადამიანმა თვითრეალიზება რომ მოახერხოს, ამისათვის მას ნოყიერი ნიადაგი სჭირდება. სამწუხაროდ ჩვენს საზოგადოებაში თვითრეალიზების საშუალება ნაკლებადია. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მე დღეს ჩემი შესაძლებლობის რაღაც 20 პროცენტის რეალიზებას თუ ვახდენ. უცხოეთში მაქვს ბევრი მიწვევა და საინტერესო წინადადებები, მაგრამ ისიც ვიცი,

რომ იქ, როგორც პიროვნება, ხლხს არ ვინტერესებ და ეს მაკავებს. იმ ხალხის ხასიათი, მენტალიტეტი, ყოფიერება იმდენად განსხვავდება ჩვენგან, რომ ყოველთვის სხვა ნაწილი იქნება მათი და მანინც ვერ მოახდენ თვითრეალიზაციას. სულ სხვა ადამიანად ვგრძობა, იქ უფრო მეტია თვითრეალიზაციის შესაძლებლობა...
- ამ გადასახადიდან რა პერსპექტივები აქვს საქართველოში კარატე-დოს ფედერაციის არსებობას?..
- გადასხმარ ტყეში ერთი ხის დარგვაც კი უკვე სიკვდილის მომტანია. იმ იმედით, რომ ვილაც კიდევ რაღაცას გააკეთებს და ხელს შეუწყობს ტყის აყვავებას, არაფერს ვიმუშავებ... ჩვენ ვერ გადავტრიალებთ ამ ქვეყანას და უკვე ვერ ავაყვავებთ, მაგრამ ეს ის აგურია, რომელსაც ჩვენს გარდა ვერავინ დადებს, მეტი არაფერი... შეიძლება ითქვას, რომ პირადი ურთიერთობების დონეზე ვწყვეტთ საკითხებს...
- ახალგაზრდობა რამდენად დაინტერესებული სპორტის ამ სახეობით?
- ჩვენდა სასიხარულოდ, დაინტერესება დიდია, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკულად რეკლამის გარეშე ვმუშაობთ. იმის ნახევარი რეკლამა რომ უკეთდებოდეს დღეს საქართველოში ჩანსალი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, როგორი რე-

კლმაც ვთქვავთ, კბილის პატას უკეთდება, რაღა გვიჭირდა...
- მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს და როგორც ვიცით, გარკვეულ წარმატებებსაც აღწევთ...
- კი, ისევე, როგორც ყველა ქართველი... ხელდასი არა გვაქვს, არაფერი არ გვაქვთ და მაინც კარგად ცხოვრობთო, უკვირთ საქართველოში ჩამოსვლელებს. დღემდე ვერავინ გაიგო როგორ ვარსებობთ, ასეა ჩვენი ფედერაცია - ალბათ, უფლის ნებაა, რომ ვარსებობთ. ალბათ, ეს ტანჯვა უნდა გადაიტანოს ჩვენმა თაობამ და როცა ყველაფერი დაიფილტრება, რაღაც აუცილებლად გვეშველება. მოსემ 40 წელი ატარა უდაბლოში თავისი ხალხი და სანამ ერი არ განიწმინდა, მანამ არ დასასხლა. ჩვენ სულ რაღაც 10 წელზე დავიწყეთ უდაბლობაში სიარული. ალბათ 20-30 წელი კიდევ დაგვჭირდება, რომ ნორმალურ სისტემაში ჩავვდეთ...
- თუ არ ვცდებით, სულ ახალგაზრდა გეგასიის ჩემპიონატთან გამარჯვებულები დაბრუნდით...
- კი, ორ წონით კატეგორიაში 1 და III ადგილები ავიღეთ, გუნდურში კი მეორე. ეს საკმაოდ დიდი მიღწევაა...
- თქვენი ხელოვნების საიდუმლო რაშია?
- პირველი სხეულის ვარჯიშია, სხეულის ვარჯიში კი გონებას ავარჯიშებს... გა-

რდა ამისა, სულიერად სუფთა უნდა იყო. თუ სუფთა ხარ და ღმერთი შენთანაა, იმხელა ძალა გეძლევა, რომ შეიძლება სახს-წაულები მოახდინო...
- რაიმე უცხოური შემთხვევა ხომ არ გქონიათ ცხოვრებაში?
- რამდენიც გინდათ...
- უცებ რომელი გაახსენდებათ?
- 1995 წელი იყო, მოსკოვში კარატეს მოყვარულთა ჯგუფი შევიკრიბეთ. მათ შორის მხოლოდ მე ვიყავი ქართველი. ჩემი ინიციატივით გადავწყვიტეთ, რომ სემინარი ჩაგვეტარებინა და იაპონელები მოგვეწვია. მოგვსენებათ, ეს რამხელა ფინანსებთან არის დაკავშირებული. ისე მოხდა, რომ სამშაბათს სტუმრები უნდა ჩამოვიდნენ, უკვე პარასკევია და ჩვენ კი არაფერი არ გვაქვს: არც ფული, არც დარბაზი... ყველა ბიზნესმენმა უარი გვითხრა. იცით, ეს რას ნიშნავს? პრაქტიკულად უნდა დაიხურო ქუდი და წახვიდე ამ საქმიანობიდან, ასეთი რაღაც მიუღებელია საერთაშორისო ბიზნესში. ცხადია, ყველა მე მადანაშაულებდა, ოფისში ამის შესახებ ვლაპარაკობდით, როცა უცებ ზარის ხმა გაისმა და ვილაპარაკებო. აღმოჩნდა, რომ ვლადიმირიდან (არის ასეთი ქალაქი) მირეკავდნენ. ხვალ შევიბრძო გვაქვს დანიშნული, ორი-სამი კვირაა გეძებთ და რომ არ გვეპოვებ, არ ვიცი რა გვეშველებოდაო. იმივე დღესვე ჩავვექით

მანქანაში და წავედით ჩემი მკვამლე და... ხლოებით იმაზე 20 წელიწადი უფრო წინ უკან კვირა საღამოს წამოვიდით. მანქანაზე მე ვიჯექი, ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ საჭეზე ჩამვივინა, მესიზმრება ვითომ იმ კაცმა, ვინც დაპატიმრებული გვყავს (ი-აპონელი) სახეში გამოლწუნა. ტკივილმა გამომალღიძა, თან იმხელა ხმაზე ვიყვირე, ჩემს თანხმლებ ბიჭებსაც გაეღიძაო. წამიც რომ გასულიყო და არ გამომღიძებოდა, სატვირთო მანქანას დავეჯახებოდი, არ ვიცი, ეს რა იყო, მაგრამ სახე მეწვოდა და აშკარად მეტყობოდა რაღაც კვალი, ამ შემთხვევის შემდეგ რუსების ჩემდამი დამოკიდებულება შეიცვალა და მთხივეს ვცინებდით... რასაც გვეტყვი ყველაფერს ისე გავაკეთებო... ასეთი ფაქტები ხშირად ყოფილა, მაგრამ ახსნა არასოდეს მიცლია...
- და ბოლოს... რით დაასრულებდით ჩვენს დღევანდელ შეხვედრას?
- ჭეშმარიტი კაცი არაჭეშმარიტი გზით რომ მიდიოდეს, ამ გზას ვაჭეშმარიტებს, და პირიქით, ალაჭეშმარიტი კაცი ჭეშმარიტ გზასაც არაჭეშმარიტად აქცევს. მთავარია ჭეშმარიტი იყო.
P.S. მადლობას ვუხდით ჩვენს რესპოდენტს საინტერესო საუბრისთვის და ვუსურვებთ წარმატებას ცხოვრებაში.

საუკეთესო კიბონოები საუკეთესო ფასებში
საუკეთესო ხარისხის კარატეს კიბონოები ირანიდან, ყველაზე დაბალ ფასებში, ფართო ასორტიმენტით.
მსურველებმა დაწვრილებით ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალურ ოფისს.
მისამართი: დიმიტრი უზნაძის ქუჩა №6. ტელ: 96-31-89.

ბარანტია 1 ფული ინტერნეტში ჩართვა
კომპიუტერები, პრინტერები, სპანერები, ორბიტაქნიკა, აქსესუარები, სახარჯი მასალები.
პრობაების ინსტალირება, კონსულტაციები.
92-02-14 Fax 22-59-06
მცხეთის ქუჩა №2

ბათუმმა კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა, სახელწოდებით "აღორძინების თასი". შეჯიბრი საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ეგიდით გაიმართა, სადაც მონაწილეობდნენ საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის სპორტსმენები. ეს ტურნირი მართლაც რომ ორიგინალურად ჩატარდა ღია ცის ქვეშ, სტადიონზე, რამაც უფრო მიმზიდველი და სანახაობრივად ეფექტური გახადა. ყოველივე ამან კი მასპინძელი საკმაო რაოდენობით მოიზიდა.

ოქრო-ვერცხლის მედალები ჩვენ
გოგონებმა სულ ორ წლოვანებაში 14-15 და 18 წლის ზევით იასპარეზეს.
ვაჟთა შორის 8-9 წლიანებში ფოთელი ჰენრი ვეკუა იყო ლიდერი და I ადგილიც დაიკავა. 10-11 წლებში ქუთაისელმა გიორგი კობრიძემ იმარჯვა I ადგილისთვის. 12-13 წლებში თბილისელი ლევან გოგლაშვილი, როგორც ყოველთვის ფავორიტული იყო და დამსახურებული I ადგილიც დაიკა-



დატოვა. ქუთაისელმა ლელა სვანიძემ კი 18 წლის ზევით მოიპოვა I ადგილი.
ასე რომ, როგორც ყოველთვის ამ ტურნირშიც მშვენივრად ჩაიარა და ალბათ აქ გამარჯვებულთა გვარ-სახელებიდან ბევრს ვიხილავთ თბილისის ვერბოსის ჩემპიონატზე.
P.S. ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ გარემოებაზე: ყველა პირველი ადგილი საქართველოში დარჩა და მათ შორის საპრიზო ადგილების 90 პროცენტიც. ვერცერთმა ქვეყანამ ვერ სძლია ჩვენს კარატისტებს. თვით სომხეთის ორ ავტობუსიანმა კარატისტების დელეგაციამ.

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საჯანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერტიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს. მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი

მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ